



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 557
20/03/2018

ქალაქი ბათუმი

557-05-4-201803201117



სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 1 მარტს გაფორმებული №31 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე (მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდება) კონტროლის განხორციელებისათვის ინსპექტირების და ჩასატარებელი სამუშაოების მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 6 მარტის №506 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის თამაზ მურადიშვილის 2018 წლის 15 მარტის №771-05 მოხსენებითი ბარათით განიმარტა, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 1 მარტს გაფორმებული №31 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე (მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდება) კონტროლის განხორციელებისათვის ინსპექტირების და ჩასატარებელი სამუშაოების მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 6 მარტის №506 ბრძანებით შექმნილ კომისიას დაკისრებული სამუშაოების შესრულების მიზნით ესაჭიროებათ საწვავის გამოყოფა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის თამაზ მურადიშვილის 2018 წლის 15 მარტის №771-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 1 მარტს გაფორმებული №31 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე (მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდება) კონტროლის განხორციელებისათვის ინსპექტირების და ჩასატარებელი სამუშაოების მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 6 მარტის №506 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. კომისიის წევრებს თამაზ მურადიშვილს და გიორგი ქურიძეს კომისიაზე დაკისრებული სამუშაოების შესრულების მიზნით გამოეყოთ საწვავი 100 ლიტრის ოდენობით, ჯამში 200 ლიტრი.“.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურმა (მ. კვირიტიძე) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები საწვავის გამოყოფის უზრუნველსაყოფად.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

